MES 7 20 0000678559

10/08/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 24.07.2020
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:10 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული (1-ლი-4 საკითხი)
სხდომის თავმჯდომარე: გიორგი თურქია (მე-5 საკითხი)
სხდომის მდივანი: თამარ ტუფინაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მანანა კევლიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
4. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - სხდომის მდივანი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;

7. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
8. **ირმა წერეთელი -** გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
9. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი - სხდომის თავმჯდომარე (მე-5 საკითხი);
10. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	მარიამ გრიგალაშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
3	ქეთევან თელია	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
4	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	საფფეთ ბაირაქთუთან	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	რექტორი	I
2	გოდერძი ბუჩაშვილი	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	პრორექტორი, „განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I
3	ნინო ჯოჯუა	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
4	ეკატერინე ფიფია	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	აფილირებული პროფესორი, „განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I

5	დიანა მჭედლიშვილი	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	აფილირებული ასოცირებული პროფესორი	I
6	ნინო ალავიძე	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II- III-IV
7	მირზა ხიდაშელი	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	სამაგისტრო პროგრამა ,,ფინანსების'' ხელმძღვანელი	III-IV
8	გოჩა თუთბერიძე	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	სამაგისტრო პროგრამა - ,,ფინანსების'' ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი	II-IV
9	თეონა გრიგოლაშვილი	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი	II- III-IV
10	პანტელეიმონ (პაატა) კლდიაშვილი	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	სამაგისტრო პროგრამა ,,საბუღალტრო აღრიცხვის'' ხელმძღვანელი	II- III-IV
11	აზა იფშირაძე	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
12	თეა ვალიშვილი	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	IV
13	გოდერძი შანიძე	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ელენე ჯიბლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნინო პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ეკატერინე კვირიკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	გვანცა ძიძიგური	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ეკა გეგეშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II- III
6	თეა კასრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II- III
7	გიორგი აბულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ნინო ლაცოშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	ნიკა გიგაური	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
11	ეკა ლეკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
12	ლარისა პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
13	გია თოდუა	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
14	ელენე კიკალიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა. ამავე პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დააკისრა საბჭოს წევრს თამარ ტუფინაშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ფინანსების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „საბუღალტრო აღრიცხვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5. სსიპ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის “ქართულ ენაში მომზადების” საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა ზემოაღნიშნული დღის წესრიგი.

1. პირველი საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლების ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2015 წლის 07 აგვისტოს №118 გადაწყვეტილება
5		ზოგადი განათლების ადმინისტრირება

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების ადმინისტრირების მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. №2
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ელენე ჯიბლაძემ განაცხადა, რომ 2020 წლის 12 მაისს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკრედიტაციის ვიზიტი ვირტუალურად ჩატარდა COVID-19 პანდემიის მიზეზით გამოწვეული შეზღუდვების პირობებში. ვიზიტი გამართა აკრედიტაციის ოთხკაციანმა ჯგუფმა დღის წესრიგით დაგეგმილი ყველა შეხვედრა შედგა, თუმცა ვირტუალური ვიზიტის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ მოხდა ფიზიკურად ინფრასტრუქტურის დათვალიერება.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს პროფესიონალები, რომლებიც აღჭურვილი არიან ზოგადად, განათლების სფეროში ადმინისტრირებისთვის საჭირო ცოდნით და უნარებით, ხელმძღვანელობენ პროფესიული ეთიკის პრინციპებით და არიან განვითარებაზე ორიენტირებულნი. პროგრამა გულისხმობს საგანამანათლებლო დაწესებულებებში მართვის შუა რგოლის სპეციალისტების მომზადებას, რომლებსაც ექნებათ საკმარისი ინტერესი და მოტივაცია, გააუმჯობესონ ის გარემო, რომელშიც მუშაობენ და დაისახონ კარიერული განვითარების გზები.
ელენე ჯიბლაძემ ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა ზოგადი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის განახლებულ და განვრცობილ ვერსიას წარმოადგენს. ის ამჯერად

მოიცავს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურებს. განახლებული სამაგისტრო პროგრამა ეყრდნობა 2019 წელს აკრედიტებული განათლების ადმინისტრირების ინგლისურენოვან პროგრამას და ითვალისწინებს მის გამოცდილებას. ასევე, განახლებულ პროგრამაში ასახულია შიდა საუნივერსიტეტო დაკვირვების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები. ამასთან, გათვალისწინებულია განათლების სფეროში დასაქმების ზოგადი დინამიკა.
ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ პროგრამა ყოველწლიურად საშუალოდ 9 სტუდენტს ღებულობს და ამჟამად 11 აქტიური სტუდენტი ჰყავს. სტუდენტთა მიერ პროგრამის დამთავრების მაჩვენებელი 5 წლის განმავლობაში 50%-ის ფარგლებშია. ხშირ შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეჩერების მიზეზი არის დასაქმება. საგულისხმოა, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მაღალია, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მათ შორის კვალიფიკაციით ნახევარზე ნაკლებია დასაქმებული. ეს მაჩვენებელი გახდა პროგრამის ფოკუსის გაფართოების ერთ-ერთი მათავარი მიზეზი. უნივერსიტეტში შექმნილია სწავლის, კვლევისა და პროფესიული განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები. თვალსაჩინოა აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების თუ კურსდამთავრებულების ძლიერი საუნივერსიტეტო იდენტობა და განვითარებაზე მიმართული გარემოს გაღვივებაზე ზრუნვის შეგრძნება.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციდან და მიზნებიდან გამომდინარე ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რეკომდაციები, კერძოდ:

1. პროგრამის მე-2 სწავლის შედეგი გადასახედია და მისი სხვაგვარად ფორმულირება მნიშვნელოვანია, იმისთვის რომ ის არ ასახავდეს აღწერით სამუშაოს, არამედ კომპლექსური და ანალიტიკური შესაძლებლობის განვითარებას გულისხმობდეს.
2. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირველი რაუნდის შემდეგ, პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა მოხდეს გაზომვადი შედეგების ფორმულირების მიზნით.
3. ,,განათლების დაფინანსება და ბიუჯეტირება“ - კურსის ავტორმა შეიტანოს ბიუჯეტირების საკითხები კურსის ფარგლებში. გარდა აღნიშნულისა, ,,განათლების ხარისხის მართვის“ კურსში მოხდეს განათლების სამივე საფეხურის შესატყვისი საკითხების თანაბრად დაფარვა. განახლდეს და გამრავალფეროვანდეს ლიტერატურა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ყურადრება ასევე გაამახვილა უნივერსიტეტის საუკეთესო პრაქტიკაზე და მოკლედ მიმოიხილა იგი. კერძოდ:
1. კვლევით უნარების განვითარებისთვის პროგრამა წაახალისებს მინიკვლევების ფორმატს, რომელიც ინტეგრირებულია პროგრამაში.
2. პრაქტიკის მსვლელობისას ყოველ კვირეულად ან ორ კვირაში ერთხელ, უნივერსიტეტში იმართება კონსულტაციები სტუდენტების მიერ იდენტიფიცირებულ საკითხებზე.
3. თითოეული აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის გამოყოფილი ყოველწლიური 3000 ლარიანი ბიუჯეტი კვლევითი აქტივობების განსახორციელებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი იზიარებენ რიგ რეკომენდაციებსა და განმარტა, რომ ნაყოფიერად და თანამშრომლობით ფორმატში წარიმართა პროცესი. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა მაქსიმალურად გაითვალისიწინა არსებული რეკომენდაციები. კერძოდ:

პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით მან აღნიშნა, რომ პროგრამის მეორე სწავლის შედეგი ჩამოყალიბდება შემდეგნაირად: განათლების ადმინისტრირების პრინციპებისა და წარმატებული პრაქტიკის სიღრმისეული და სისტემური ანალიზი.
რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამისთვის შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების დოკუმენტში მითითებულია, რომ „მიღებული შედეგების საფუძველზე, თუ საჭიროება მოითხოვს, მოხდება სილაბუსის ან პროგრამის შინაარსის მოდიფიცირება“ (რაც თავისთავად გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში შედეგების ფორმულირების ცვლილებას). ამავე დოკუმენტში გაწერილია სწავლის შედეგების დაკვირვების გრაფიკი და მოყვანილი ცხრილი ასახავს გრაფიკს თუ რომელი კონკრეტული სწავლის შედეგის დაკვირვება მოხდება კონკრეტულ საგანში და რომელ პერიოდში.
ასევე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქციის მიხედვით გაწერილია შემდეგი: „შეფასების შედეგად შეიძლება განხორციელდეს ცვლილებები სასწავლო კურს(ებ)ის შინაარსში, მის წინაპირობებში, სასწავლო კურსების თანმიმდევრობაში, შეიძლება დაემატოს ან ამოიღონ სასწავლო კურს(ებ)ი, ცვლილებები შევიდეს სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისებში, პროგრამის სწავლის შედეგებში, შეფასების მექანიზმსა და ა.შ. გარდა ამისა, მოცემულია, რომ „სწავლის შედეგები უნდა იყოს მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადი (რაც მათ შეფასებას გულისხმობს).“ შესაბამისად, რეკომენდირებული პროცესი ისედაც გათვალისწინებულია განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამისთვის შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების დოკუმენტით და უნივერსიტეტის სწავლის შედეგების შეფასების დებულებით.
მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ სასწავლო კურსში შეტანილია ბიუჯეტირების საკითხები. სილაბუსის მიხედვით ბიუჯეტირების საკითხებს ეხება კურსის შინაარსის 55.3%. აგრეთვე, დაანგარიშებულია კრედიტებისა და საკონტაქტო საათების გადანაწილება დაფინანსებასა და ბიუჯეტირებას შორის. ხარისხის უზრუნველყოფის ზოგადი ფუნდამენტული კონცეფციები და საფუძვლები, რასაც ეთმობა პირველი 5 კვირა, თანაბრად მნიშვნელოვანია ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემებში მომუშავე პირებისთვის; შემდეგი სამი კვირა, ეთმობა ბოლონიის პროცესს და მის დანერგვას საქართველოს განათლების სისტემაში. ბოლონიის პროცესში საქართველოს ჩართულობამ მნიშვნელოვანად და კარდინალურად შეცვალა და გააუმჯობესა საქართველოს განათლების სისტემა. უკვე განხორციელებული და მიმდინარე თუ დაგეგმილი რეფორმების განხილვა, იმ გამოწვევების განხილვა, რომელთა წინაშეც დგას ამჟამად საქართველოს განათლების სისტემა, რაც მნიშვნელოვანია იცოდეს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში თუ განათლების სფეროში მოღვაწე ნებისმიერმა პირმა. შემდეგი 6 კვირა, ეთმობა ისეთი საკითხების განხილვას, როგორიცაა ხარისხის უზრუნველყოფის საკანონმდებლო ბაზა, შიდა და გარე მექანიზმები, საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, რომლებიც ფარავს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საკითხებს თანაბრად. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კურსის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია უფრო ხარისხობრივი მიდგომა, კერძოდ, დაფარულ იქნას ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში არსებული კონცეფციები და პრაქტიკები, მნიშვნელოვანი მიღწევები და გამოწვევები, მათ შორის საქართველოს მაგალითზე. ამდენად, კურსის დაყოფა რაოდენობრივი მაჩვენებლების და თანაფარდობების მიხედვით ეფექტური ვერ იქნება.

ლიტერატურასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო კურსი ფუნდამენტური კონცეფციების და საფუძვლების ნაწილში კურსი ძირითადად ეყრდნობა უცხოურ ლიტერატურას. ხოლო დანარჩენ ნაწილში გამოიყენება ელექტრონული წყაროები და საკანონმდებლო აქტები, თემატიკის შესაბამისად, რომლებიც ექვემდებარე ყოველწლიურ განახლებას, საჭიროებისამებრ. აღსანიშნავია, რომ ქართულენოვანი ლიტერატურის ნაკლებობის გამო, ლექტორის მიერ შედგენილია სალექციო კონსპექტი ქართულ ენაზე თითოეული თემატიკისთვის, რომლის განახლებაც ასევე ხორციელდება ყოველწლიურად საკანონმდებლო

თუ სხვა ცვლილებების კვალდაკვალ. ყველა აღნიშნული მასალა ატვირთულია ელექტრონულ ბაზაში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ.

საბჭოს წევრმა ყურადღება გაამახვილა სავალდებულო საგნების სილაბუსებზე. კერძოდ სავალდებულო კურსი, ,,განათლების თეორიები და ფსიქოლოგია“ საკამოდ ზოგადია. გარდა ამისა შინაარსობრივად ის მოიცავს განათლების ფსიქოლოგიის თემატიკას. საბჭოს წევრი თვლიდა, რომ უმჯობესი იქნება სასწავლო კურსის ფარგლებში კონკრეტული საკითხების შემოტანა და მათი განხილვა, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული დარგის სპეციალისტების ჩამოყალიბებას.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა მოცემულ საკითხთან მიმართებით განმარტა, რომ პროგრამაში ასახულია მეორე სავალდებულო საგანიც, ,,განათლების პოლიტიკა“, სადაც ძირითადად განხილულია განათლების თეორიები სამივე საფეხურზე. იგი ეთანხმება, რომ კურსი, ,,განათლების თეორიები და ფსიქოლოგია“ განხილულია მეტად ფსიქოლოგიური კუთხით. შესაბამისად, მოხდება აღნიშნული საკითის გამოსწორება და დაკვირვების შედეგად, საჭიროების შემთხვევაში თემატიკის დამატება.

საბჭოს წევრმა ასევე ყურადღება გაამახვილა სამაგისტრო ნაშრომების თემატიკაზე. კერძოდ, თემატიკა ძირითადად ეხება სკოლებს. სწორედ ამიტომ, მას სურს დააზუსტოს თუ სად გადიან მაგისტრანტები პრაქტიკას და ხომ არ არის ნაშრომის თემატიკის არჩევა განპირობებული მხოლოდ სკოლებში განვლილი პრაქტიკით.

უნივესიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამა შეიქმნა ზოგადი განათლების ადმინისტრირების პრორგამის საფუძველზე. შესაბამისად, სტუდენტთა კვლევითი მიმართულება იყო სკოლა და პრაქტიკასაც აღნიშნულ დაწესებულებაში გადიოდნენ. ვინაიდან აკრედიტაციის საბჭოზე წარდგენილი პროგრამა წარმოადგენს სიახლეს, ნაშრომები ამ ეტაპზე წარმოდგენილია ზოგადი განათლების ადმინისტირების პროგრამის მიხედვით. მომავალში კი აკრედიტაციის მინიჭების შემდგომ, უნივერსიტეტი გეგმავს ამ კუთხით პრაქტიკის დახვეწას. იგი უზრუნველყოფს სამივე მიმართულებით მუშაობას, რასაც ასევე თავად პრაქტიკული კურსის სილაბუსიც უზრუნველყოფს.

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა დააზუსტა, გეგმავდა თუ არა უნივერსიტეტი მაგისტრატურის საფეხურის დონის გათვალისიწინებით სწავლის შედეგების დახვეწასა და გაძლიერებას. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება განაგრძობდა ამ კუთხით მუშაობას. მოხდა სწავლის შედეგებში ცვლილებების შეტანა და ახლო მომავალში იგეგმებოდა მისი მეტად დახვეწა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:50
დასრულების დრო:15:01

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების და ერთ წელიწადში ანგარიშის წარმოდგენის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტე ბის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

2. მეორე საკითხი: შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ფინანსების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფინანსები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ავტორიზებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2012 წლის 3 ივლისის N136 გადაწყვეტილება; ვტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 71; 24.09.2018
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმე
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ფინანსების მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120

11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქუთაისი 4600, წერეთლის ქ. N 13.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

3. მესამე საკითხი: შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „საბუღალტრო აღრიცხვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საბუღალტრო აღრიცხვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ავტორიზებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2012 წლის 3 ივლისის N135 გადაწყვეტილება; ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 71; 24.09.2018
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბუღალტრო აღრიცხვაში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქუთაისი 4600, წერეთლის ქ. N 13.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

4. მეოთხე საკითხი: შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	ავტორიზებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2011 წლის 11 ნოემბრის N260 გადაწყვეტილება; ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 71; 24.09.2018
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქუთაისი 4600, წერეთლის ქ. N 13.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა რეკომენდაციებზე.

1. ფინანსების მაგისტრატურის პროგრამის სწავლის შედეგების უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსები - „სასწავლო პრაქტიკა“ და „სამაგისტრო ნაშრომი“ გადატანილი იქნას ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებში და განისაზღვროს კურსებზე დაშვების ლოგიკური წინაპირობები.
2. მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი საგნების ინტეგრაცია და გამოთავისუფლებული კრედიტების ხარჯზე დაემატოს სასწავლო კურსები, რომელთა სწავლება აუცილებელია პროგრამის მიზნების მისაღწევად.
3. განისაზღვროს სასწავლო კურსებზე დაშვების ლოგიკური პირობები. არ შეიძლება საგნებიდან, რომლებიც ერთსადაიმავე სემესტრში ისწავლება, ერთი იყოს მეორეზე დაშვების წინაპირობა.

4. უნდა მოხდეს, სასწავლო კურსების „ფინანსური აღრიცხვა“, “ბუღალტრული ანგარიშგება“ და „მმართველობითი აღრიცხვა გადაწვეტილებების მისაღებად“ მეტი პრაქტიკული კომპონენტებით დატვირთვა და სწავლების პროცესში რომელიმე ბუღალტრული პროგრამის (სოფთის) ჩართვა.
5. უსდ-მ მეტი ყურადღება დაუთმოს სამაგისტრო ნაშრომების თემების მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობას, სტუდენტთა მიერ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულ კვლევებსა და გამოყენებულ ლიტერატურას.
6. უსდ-მ უზრუნველყოს სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდების და აქტივობების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანების შესაბამისად ფორმულირება.
7. სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა უფრო მეტად უნდა შეესაბამებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ მისანიჭებელ სპეციალობას.
8. დაწესებულებამ უზრუნველყოს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებად შესაბამისი სპეციალიზაციის მქონე პერსონალის შერჩევა.
9. დაწესებულებამ უზრუნველყოს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების გადამზადება და ტრენინგი სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისა და ხელმძღვანელობის მიმართულებით.
10. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისთვის მხარდაჭერის მიზნით საჭიროა შესაბამისი ფინანსური რესურსის გამოყოფა.
11. პროგრამის ფინანსური მდგრადობის ადეკვატურად შეფასების მიზნით, სასურველია დაწესებულების ადმინისტრაციამ პროგრამის დაფინანსების ყველა წყარო სრულად ასახოს პროგრამის ბიუჯეტში.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულებას წარმოედგინათ პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საინტერესო რეკომენდაციებია და აღნიშნული დაეხმარებათ პროგრამის დახვეწაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა იმ რეკომენმდაციებზე, რომლებზეც ჰქონდათ არგუმენტირებული პოზიცია.
2.5 ქვესტანდარტთან მიმართებით გამოთქმულ რეკომენდაციაზე, „უსდ-მ უზრუნველყოს სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდების და აქტივობების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის N3 ბრძანების შესაბამისად ფორმულირება“, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვერ დაეთანხმებიან აღნიშულ რეკომენდაციას, ვინაიდან დასკვნაში არ არის მოყვანილი არგუმენტები, თუ რომელი მეთოდის ან აქტივობის საფუძველზე გაიცა აღნიშნული რეკომენდაცია. ,,ფინანსების'' სამაგისტრო პროგრამის სწავლება სწავლის მეთოდები და აქტივობები თანხვედრაშია „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის N3 ბრძანებასთან. აღნიშნულ ბრძანებაში მოცემულია ძირითადი ჩამონათვალი, რაც არ გამორიცხავს დამატებითი მეთოდების და აქტივობების გამოყენებას, თუკი ისინი სასწავლო მასალის ადექვატურად არის შერჩეული.
ასევე 4.1 ქვესტანდარტში მითითებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით „უსდ-მ უზრუნველყოს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებად შესაბამისი სპეციალიზაციის მქონე პერსონალის შერჩევა“ დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათთვისაც საგულისხმოა აღნიშული რეკომენდაცია და გაითვალისწინებენ. თუმცა ხაზი გაუსვა წინა წლის კვალიფიკაციასა და ახლანდელ ლვალიფიკაციას შორის განსხვავებას, რაც ახდენდა გავლენას სამაგისტრო ნაშომების თემატიკაზე.

4.2 ქვესტანდარტთან მიმართებით რეკომენდაციაზე „აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისთვის მხარდაჭერის მიზნით საჭიროა შესაბამისი ფინანსური რესურსის გამოყოფას“ დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციას რჩევად მიიიღებენ, ვინაიდან გარდა პროგრამის ბიუჯეტისა პერსონალის სამეცნიერო საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისთვის მხარდაჭერისთვის ხარჯები ასევე გათვალისწინებულია უნივერსიტეტის 2020 წლის ბიუჯეტშიც.
4.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებულ რეკომენდაციას რაც შეეხება, (პროგრამის ფინანსური მდგრადობის ადეკვატურად შეფასების მიზნით, სასურველია უსდ-ს ადმინისტრაციამ პროგრამის დაფინანსების ყველა წყარო სრულად ასახოს პროგრამის ბიუჯეტში) დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციას გაითვალისიწნებენ. ფინანსების სამაგისტრო პროგრამის შემოსავლების ბიუჯეტში გათვალისწინებულია ამ პროგრამის ფარგლებში მისაღები შემოსავლები. აქვთ 1000 ლარიანი სასტიპენდიო შეთავაზება გარდა ფიქსირებული შეთავაზებისა, რაც 55 % წარმოადგენს ანაზღაურების. ასევე, იყენებენ რანჟირების მიხედვით წახალისების ფორმების გამოყენება.
სასწავლო პრაქტიკაზე და სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით იზიარებენ რეკომენდაციას და ნაწილის გადატანა მოხდება სავალდებულო კომპონენტების ნაწილში. პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი საგნის ინტეგრაციას რაც შეეხება, საქმე ეხება ფინანსური მენეჯმენტი 1 და 2 ის შეკუმშვას და ერთ სასწავლო კურსად ჩამოყალიბებას, აღნიშულთან დაკავშირებით შეხვედრაც ჰქონდათ დამსაქმებლებთან, განსაკუთრებული დაინტერესება გამოიკვეთა დამსაქმებლის მხრიდან.
რადგან ვიწრო სპეციალიზაციის ფინანსების სამაგისტრო პროგრამაზე საუბრობენ ამიტომ მიაჩნიათ, რომ ფინანსებზე განსაკუთრებული აქცენტი მიზანშეწონილია. არის ბევრი უნივერტეტი, რომლებიც აღნიშნული კონცენტრაციით ასწავლიან. დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით იყო მექანიკური და ტექნიკური შეცდომები ამასაც იზიარებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს წევრებს დაესვათ კითხვები ან/და გამოეთქვათ მოსაზრებები

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ გამოთქვა თავისი მოსაზრება პროგრამასთან მიმართებაში, რადგან ყურადღება გაამახვილეს ფინანსები მენეჯმენტი 1 და 2 უნივერტეტის პოზიციას უჭერს მხარს და პრობლემას ვერ ხედავს, რომ ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოებით გაამდიდრონ სამაგისტრო პროგრამა.
ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ბიზნეს პროცესები კარგად ისწავლებოდეს, რადგან მათმა კურსდამთავრებულებმა მენეჯერული გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ, ამიტომ ზოგადად ბიზნეს პროცესებს კარგად უნდა ფლობდნენ, რომ აღქმა ჰქონდეთ ესა თუ ის ფინანსური გადაწყვეტილება რა სარგებელს მოუტანს კომპანიას.
მართალია პროგრამაში „ექსელის“ სწავლება აქვთ, მაგრამ „ექსელის“ ფორმულის სწავლება ტექნიკურია, მნიშვნელოვანია სტატისტიკის გარკვეული საკითხების დამატება, ფინანსისტმა არა მარტო წარსული უნდა დათვალოს არამედ მომავალზე ორიენტირებულიც უნდა იყოს. კარგი იქნებოდა თუ დაუმატებდბენ IFRS სტანდარტებს. ისეთი სიღრმისეულად არა როგორც ბუღალტერიაში, მაგრამ ზოგადი მიდგომების სწავლება მიზანშეწონილი იქნება. „რეპორტინგიც“, რომ იყოს გარგი იქნებოდა.
ამასთან, პროგრამაში აქვთ საგადასახადო პოლიტიკა და აინტერესებს რამდენად რელევანტურია? ცუდი საგანი არ არის, მაგრამ ჯობია არჩევითში იყოს, რადგან ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრს ამზადებენ ფინანსებში, რელევანტურია ძირითადი კონცენტრირება კომპანიის დონეზე და არა სახელმწიფო დონეზე.
ესპერტმა დააზუსტა, რომ აღნიშნული რეკომენდაციაში არ დაწერეს რადგან ოპერაციების მიმართულებით პროგრამაში კარგად აქვთ მოცემული, მმართველობითი აღრიცხვის მიმართულებითაც, თუმცაღა რეკომენდაციაში ACCA -ის წიგნების გამოყენებაზე აქვთ მითითება.

სხდომაზე დამსწრე მხარეებს და საბჭოს წევრებს შორის წარმოიშვა პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით კითხვები, როგორც გაირკვა ექპსერტთა დასკვნაში ხარვეზულად არის მითითებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია, თუმცა საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ და ასევე საბჭოს სხვა წევრებმაც გამოთქვეს მოსაზრება, რომ მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და შინაარსთან დაკავშირებით პროგრამას აქვს ზოგადად ხარვეზები.
გიორგი თურქიამ ასევე გაუსვა ხაზი, რომ მნიშვნელოვანია პროგრამის ყველა საგანი გამდიდრდეს პრაქტიკული მაგალითებით. ასევე, პრაქტიკის გავლა უნდა იყოს სავალდებულო. უნდა დაემატოს კურსი ბიზნესის შეფასება ფინანსების კუთხით.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საკმაოდ შეზღუდულნი არიან ქართულ ლიტერატურაში, მაგრამ რადგან შესაბამისი რეკომენდაცია მიიღეს უცხოური ლიტერატურის შეტანას თავისუფლად შეძლებენ. პროგრამის რეფორმის დროს დაამატეს ფისკალური პოლიტიკა, საერთაშორისო ფინანსების ზოგადი თეორია, რაც საშუალებას მისცემს მათ, რომ სტუდენტს სრულყოფილი წარმოდგენა მისცეს იმ გარემოზე სადაც მოუწევს მუშაობა. ეკონომეტრიკის სილაბუსს თუ ვნახავთ საკმაოდ კარგად არის წარმოდგენილი სტატისტიკის მიმართულებით საკითხები. ACCA -ის აცნობიერებენ, რომ მოთხოვნადია, მაგრამ უმაღლესი განათების ამ საფეხურისთვის მიანჩნიათ, რომ ის ლიტერატურა რასაც იყენებენ წამყვანი უნივერსიტეტები უფრო მნიშვნელოვანია და არა უფრო გამოცდების ჩასაბარებელი ლიტერატურა. ამ ლიტერატურის შეტანას აპირებენ არა როგორც სავალდებულო არამედ არაძირითადად. ასევე, ბიზნესის შეფასება ფინანსების კუთხით- მიმართულებით ძალიან ფასეული რეკომენდაციაა და ფიქრობენ, რომ არჩევით საგნად დაამატონ.
საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ ორ კონკრეტულ სამაგისტრო ნაშრომთთან დაკავშირებით იკითხა, რამდენად არის ისინი თუნდაც იმ ძველი კვალიფიკაციის შესაბამისი. ამ კონტექსტში ექნება კითხვა აკადემიური პერსონალის პროფესიული მხარდაჭერის შესახებ. ასევე, რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომ მიზანშეწონილია სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების გადამზადება და ტრენინგი, ექსპერტებთან აქვს კითხვა, რა კონკრეტული პრობლემები გამოიკვეთა ამ მიმართულებით, ასევე დაწესებულებასთან თუ როგორ წარმოუდგენია ამ საკითხის გადაწყვეტა.
ექსპერტმა განმარტა, რომ მათაც იგივე პრობლემა დაინახეს, რომ კვალიფიკაციის კოდის შესაბამისად არ არის სამაგისტრო ნაშრომები შესრულებული. მეორე საკითხს რაც შეეხება თვითონ დებულებაში, მეთოდოლოგიური ნაწილი არ ჩანს ნაშრომებში, რა გაკეთდა, რა თანმიმდევრობით და რა მოცულობის საქმე უნდა იყოს კარგად გამოკვეთილი. სწორედ ესეთი მიმართულების საკითხებია დასახვეწი და ამ მიმართულებაზე არის ყურადღება მისაქცევი. ექსპერტმა ასევე დაამატა, რომ სილაბუსებში არაა გაწერილი რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ნაშრომი, რომ ნაშრომის ხელმძღვანელისთვისაც და მაგისტრანტისთვისაც ნათელი იყოს. ასევე სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ძველ კვალიფიკაციაზე არგუმენტაციას ვერ მიიღებს, რადგან ეს ნაშორმები არც ძველ კვალიფიკაციას არ შეესაბამება.
დაწესებულების წარმომადგებნელმა განმარტა, რომ ორი სასწავლო კურის დაამატეს აკადემიური წერის და კვლევის მიმართულებით, რომ რეკომენდაციები მაქსიმალურად გათვალისწინებული ყოფილიყო.
დაწესებულებამ პერსონალის გადამზადებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მთელი რიგი ცვლილებები განხორციელდა დაწესებულებაში, გაზიარებულია ევროპის უნიევრისტეტის, უცხოელი ექსპერტრების გამოცდილება, ჩამოყავთ უცხოელი პარტნიორები, ხდება პერსონალის გადაზადება. ამაზე ნაფიქრი აქვთ და აუცილებლად გაითვალისწინებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ პოზიცია საბუღალტრო აღრიცხვის სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა რეკომენდაციებზე.

1. წარმოდგენილი პროგრამის მიზნები ლექსიკურად გამართულია თუმცა მე-2 და მე-3 მიზნის დეკლარირების კონტექსტი უფრო შეესაბამება შედეგს ვიდრე მიზანს, ამიტომ უნდა მოხდეს აღნიშნული მიზნების დეკლარირების კონტექსტის დაზუსტება.

2. საბუღალტრო აღრიცხვის მაგისტრატურის პროგრამის სწავლის შედეგების უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსები - „სასწავლო პრაქტიკა“ და „სამაგისტრო ნაშრომი“ გადატანილი იქნას ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებში და განისაზღვროს კურსებზე დაშვების წინაპირობები.

3. მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი საგნების ინტეგრაცია და გამოთავისუფლებული კრედიტების ხარჯზე დაემატოს სასწავლო კურსები, რომელთა სწავლება აუცილებელია პროგრამის მიზნების მისაღწევად.

4. გადაიხედოს და განახლდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა, რათა ისინი დაფუძნებული იყოს სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და შეესაბამებოდეს კურსის მიზანსა და სწავლების საფეხურს.

5. მოხდეს „სასწავლო პრაქტიკის“ გაძლიერება და შესაბამისად მისთვის განსაზღვრული კრედიტების გაზრდა. გაიზარდოს პრაქტიკის ხანგრძლივობა, სილაბუსში მიეთითოს საკონტაქტო საათების რაოდენობა.

6. უნდა მოხდეს, სასწავლო კურსების „ფინანსური აღრიცხვა“, “ბუღალტრული ანგარიშგება“ და „მმართველობითი აღრიცხვა გადაწვეტილებების მისაღებად“ მეტი პრაქტიკული კომპონენტებით დატვირთვა და სწავლების პროცესში რომელიმე ბუღალტრული პროგრამის ჩართვა.

7. სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტებსა და შეფასების კრიტერიუმებში უნდა გაიზარდოს დამოუკიდებელი კვლევის, ანალიტიკური ნაწილისა და კვლევის მიგნებების წილი. ასევე, მნიშვნელოვანია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ მეტად კონტროლდებოდეს ციტირების ერთიანი სტანდარტის დაცვა.

8. სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტმა სტუდენტებისათვის უნდა გაწეროს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების გაცილებით დეტალური ინსტრუქცია, ვიდრე ეს დღევანდელი წესითაა მოცემული (სასურველია შემდეგნაირად დაკონკრეტდეს ნაშრომის შესავლის სტრუქტურა: თემის აქტუალურობა, კვლევის მიზნები, ამოცანი, საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზა (დაშვება) და ა.შ).

9. გადაიხედოს და შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის „საერთაშორისო ბიზნესის“ სახელწოდება, მიზანი, შინაარსი, გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა და კრედიტების რაოდენობა. სილაბუსით გათვალისწინებული შესასწავლი თემებიდან გამომდინარე ეს არის არა „საერთაშორისო ბიზნესის“, არამედ „ბიზნეს სამართლის“ კურსი და კარგი იქნება, თუ სწორედ „ბიზნეს სამართლის სახელწოდებით“ მოხდება აღნიშნული კურსის შეთავაზება.

10. უსდ-მ მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტთა მიერ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულ კვლევებსა და გამოყენებულ ლიტერატურას.

11. უსდ-მ უზრუნველყოს სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდების და აქტივობების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების

შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანების შესაბამისად ფორმულირება.

12. სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისთვის ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდირებულად მიიჩნევს „სამეცნიერო კვლევის სტრუქტურა, მეთოდებისა და ეთიკის“ სასწავლო კურსში სტუდენტთა დამოუკიდებელ კვლევითი უნარების განვითარებაზე მეტი აქცენტი გაკეთდეს და ფინალური თეორიული გამოცდის ნაცვლად უმჯობესია სტუდენტების მხრიდან კვლევითი ნაშრომის მომზადება, ხოლო სტუდენტთა თეორიული ცოდნის შეფასებისთვის შესაძლებელია კვლავ შუალედური გამოცდისა და ქვიზებისა გამოყენება.

13. სტუდენტებისთვის მეტი აკადემიური თავისუფლების მინიჭებისთვის, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდირებულად მიიჩნევს სასწავლო პერსონალმა წინასწარ 7 გამოაქვეყნოს არა სამაგისტრო ნაშრომის კონკრეტული თემები (სათაურები), არამედ მათი ზოგადი კვლევითი მიმართულება რის შემდეგაც ხელმძღვანელთან კონსულტაციის პროცესში მაგისტრანტი დააკონკრეტებს თემის სათაურს. ასევე, იზრუნონ ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა სწვალა-სწავლების მოდელის გამიჯვნას.

ასევე ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სტრატეგიული განვითარების სამსახური გამოიყო, რომელიც იქნება პასუხისმგებელი საუნივერსიტეტო ინტერნაციონალიზაციაზე და პროგრამების ინტერნაციონალიზაციაზე. შესაბამისად მეტი ყურადღება დაეთმობა ინტერნაციონალიზაციას.
რაც შეეხება რეკომენდაციას, რომ სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა, სადაც ინტეგრირებული იქნება სტუდენტისთვის საჭირო ყველა სერვისი და ინფორმაცია, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული რჩევა უკვე შესრულებულია, ვინაიდან უნივერსიტეტს სარგებლობაში აქვს ახალი ერთიანი ელექტრონული სისტემა, სადაც ინტეგრირებულია სტუდენტისთვის საჭირო ყველა სერვისი და ინფორმაცია.

რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომ სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის შესრულებასთან დაკავშირებით წესი უნდა გაიწეროს, განიმარტა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციას ვერ მიიიღებენ, ვინაიდან სააკრედიტაციოდაც წარდგენილი მაგისტრატურის პროგრამის პროფესიული პრაქტიკისა და სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისა და შესრულების წესი ცალსახად მოიცავს ინფორმაციას თუ რომელი კომპონენტები უნდა იყოს გათვალისწინებული სამაგისტრო ნაშრომის შესავლის სტუქტურაში, კერძოდ: “შესავალი – ნაშრომის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა აისახოს არჩეული თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები და დასმული ამოცანა (ამოცანები); საკვლევი საგანი და გამოყენებული მეთოდები”.

რეკომენდაციას მიზანთან დაკავშირებით განმარტა დაწესებულების წარმომადგენელმა, რომ პროგრამის განახლების პროცესში დროს მიზნის ფორმულირება მოახდინეს დამსაქმებლებთან კომუნიკაციის და დასაქმების ბაზრის კვლევის დროს და იმ გამოცდილების ფარგლებში რაც დაუგროვდათ. პირველი მიზანი ზოგადი და გლობალურია, მეორე და მესამე მიზანი არის შედარებით უფრო კონკრეტული და ფიქრობენ, რომ ეს მიზნები ფარავენ. ფორმულირების დახვეწაზე იფიქრებენ, თუმცა შინაარსთან დაკავშირებით დამატებითი კითხვები არ ყოფილა ვიზიტის დროს.

სამაგისტრო ნაშრომთან და პრაქტიკასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმოამდგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციას გაითვალისწინებენ და მიიღებენ რჩევის სახით, ვინაიდან „სასწავლო პრაქტიკა“ და „სამაგისტრო ნაშრომი“ სავალდებულო კურსებია და მათი გადაადგილებით პროგრამის თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსებიდან ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებში პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობა არ შეიცვლება.

რაც შეეხება დაშვების წინაპირობების განსაზღვრას, დაშვების წინაპირობები როგორც პრაქტიკასთან ისე სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით განსაზღვრულია. სამაგისტრო ნაშრომი დაიშვება დაცვაზე თუ მის შესაბამის სტუდენტს ყველა სხვა კომპონენტი შესრულებული აქვს. თუმცა რადგან ეს საკითხი დაისვა შეიძლება ბუნდოვნად იყო და შეეცდებიან, რომ უფრო ნათლად ჩამოაყალიბონ.

პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი საგნის ინტეგრაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ნაწილს ეთანხმებიან ნაწილზე თავისი პიზიცია აქვთ. კერძოდ, რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომ შესაძლებელია ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების „ფინანსური ანალიზი“ და „მმართველობითი ანალიზი“ ერთ საგნად ინტეგრაცია, მითუმეტეს, რომ ორივე კურს ერთიდაიგივე ძირითადი ლიტერატურა აქვს მითითებული”. მოცემულ საკითხზე მსჯელობა პროგრამის კომიტეტის მუშაობის დროსაც მიმდინარეობდა და ვერ გაითვალისწინებენ, ვინაიდან ერთი 10 კრედიტიანი სასწავლო კურსის არსებობის თავიდან ასარიდებლად პროგრამის კომიტეტმა „ფინანსური ანალიზი“ და „მმართველობითი ანალიზი“ დატოვა ცალ-ცალკე კურსებად.

რაც შეეხება პროფესიულ ეთიკას, "პროფესიული ეთიკა" არის ძირითადი სწავლების სფეროს სავალდებულო კურსი, ვინაიდან მისი ცოდნა და პრაქტიკაში გამოყენება აუცილებელია პროფესიონალი ბუღალტრისა და მით უმეტეს აუდიტორისათვის, ხოლო ბიზნეს ეთიკა (თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსი) თავისი შინაარსით არ არის აუცილებელი აღნიშნული სპეციალობის პირისათვის, შესაბამისად მისი შესწავლის დავალდებულება ყველა მაგისტრანტისათვის არ მიაჩნიათ მიზანშეწონილად. შესაბამისად, ამ ორი კურსის გაერთიანება არ იქნება მიზანშეწონილი, რადგან ერთი სავალდებულო და აუცილებელია და მეორე არა.

შემდეგი რეკომენდაცია სასწავლო კურსების ინტეგრაციით გამოთავისუფლებული კრედიტების ხარჯზე შესაძლებელია ცალ-ცალკე ისწავლებოდეს კერძო ანუ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ISA) და საჯარო სექტორის აუდიტის სტანდარტები IPSAS და (ორივე სექტორს სასწავლო კურსი „ფინანსური კონტროლი და აუდიტი“ ფარავს)”. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აუსიდის საერტაშორისო სტანდარტები ისწავლება. ხოლო საჯარო ფინანსებთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნულ მოსაზრებას ეთანხმებიან და გაითვალისწინებენ. პროგრამის კომიტეტს, პროგრამის გადამუშავების პროცესში თავადაც ჰქონდა აღნიშნული მოსაზრება და აღნიშნული საკითხი არ მოხსნილა დღის წესრიგიდან.
აღრიცხვის სატანდარტებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ასწავლიან აღრიცხვის საერთასორისო სტანდარტებს, რომელიც ფარავს სხვა დანარენს და ყველაზე მაღალი დონის არის.
ასევე რეკომენაციასთან დაკავშირებით დაბეგვრის კუთხით არჩევითი საგნის დამატებაზე, განმარტა, რომ არჩევითი საგნის ჩამონათვლის გაფართოებაზე ფიქრობენ რელევანტური საგნებით, ერთ-ერთი არის დაბეგვრასთან დაკავშირებული საკითხები და ფიქრობენ დამატებას.

ბურალტრული აღრიცხვის კურსებში პრაქტიკული კომპონენტის გააქტიურებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დამატებით გააჩინეს კიდევ ერთი პრაქტიკული საგანი და 3 საათი აქვთ კვირაში. ყელა ჩამოთვლილ კურსში გათვალისწინებულია პრაქტიკული დავალება. ის ეძლევა ინდივიდუალურად სტუდენტს და ყველა თემის შესაბამისად ასრულებს დავალებას.
იზიარებს შენიშვნას, რომ ბუღალტურლი აღრიცხვის რომელიმე კომპიუტერული პროგრამა იყოს გათვალისწინებული. რეალურად ამას იყენებენ, მაგრამ სილაბუსში არ არის ასახული და აუცილებად ასახავენ.
ლიტერატურასთან მიმართებაში, იყო რამდენიმე კურსი რომლებთანაც ტექნიკური ხარვეზი იყო და ტექნიკური ხარვეზის გამო მოძველებული ლიტერატურით გაიგზავნა და გამოსწორებული არის უკვე. საერთაშორიოს ბიზნესის კურსზე აღინიშნა, რომ მუშაობენ მის გათვალისწინებაზე. ექსელთან მიმართებაში, აღინიშნა, რომ ეს უკვე აქვთ ინტეგრირებული პროგრამაში.
საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ, განმარტა, რომ ნაწილობრივ ორივე მხარის პოზიციას იზიარებს.
პრაქტიკასთან დაკაშირებით ურჩევს, რომ სხვანაირად ააწყონ. კარგია ის, რომ სტუდენტს ყველა დავალების შემდეგ პრაქტიკული დავალება ეძლევა. მაგრამ მისი აზრით პრაქტიკა არის, როცა სტუდენტი კომპანიაში მიდის და პრაქტიკულ საქმიანობაშია ჩართული. ეს რაც წარმოდგენილია უფრო არის კარგი პრაქტიკული ვიდრე პრაქტიკა.
რადგან მაგისტრატურაა, კარგი იქნება, რომ პროცესები ასწავლონ, რომ სტუდენტს მისი ადგილი კარგად ჰქონდეს წარმოდგენილი. გადასახადები აუცლებელია, რომ სავალდებულო საგნებში იყოს.
„ორისზე“ მეტად მნიშვნელოვანია „იარპი“ სისტემები, რეალურად როდესაც პროცესებზე საუბრობენ საგანთან ერთად „იარპი“ სისტემებზე საუბარიც კარგი იქნება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პრაქტიკის წამოწევასთან დაკავშირებით, პრაქტიკული კომპონენტი თითოეულ კურსში აქვთ, ასევე არის სასწავლო პრაქტიკა, სადაც სხვადასხვა უნივერტეტში, ასევე დაწესებულებებში უშვებენ სტუდენტებს პრაქტიკაზე. საგადასახადო მიმართულებით დააზუსტა, რომ ეთანხმება, მაგრამ არ იგულისხმება ის, რომ აქამდე არ ისწავლებოდა, თუმცა ეთანხმება იმას, რომ ამ კომპონენტის გაძლიერება სასურველი იქნება.
საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ კითხვა დასვა რა ტიპის ურთიერთობაა ევროპის უნივერსიტეტსა და ქუთაისის უნივერტეტს შორის და თუ არიან ევროპის უნივერსიტეტიდან აკადემიურ პროცესებში, პროგრამების შემუშავებაში ჩართული. ასევე, პროგრამის განვითარების ჯგუფს ჰკითხა, წინა წლის სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით თუ წინა პროგრამაზე აპელირებდნენ, რომ დასახელება შეიცვალა რა პოზიცია აქვთ ამ შემთხვევაში. ასევე კითხვა აქვს რატომ არის ინგლისური ენის დაშვების წინაპირობა B2, რადგან ლიტერატურა არ იყო ინგლისურად მიწოდებული. გასაგებია, ინგლისურის საჭიროების შესახებ, ლოგიკური კავშირი, რომ ახსნან წინაპირობასა და პროგრამას შორის.
დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ შპს ქუთაისის უნივერსიტეტი არის ევროპის უნივერსიტეტის შვილობილი. ევროპის უნივერსიტეტი სრულად უჭერს მხარს განვითარებას, რაშიც იგულისხმება, როგორც ფინანსური, ასევე აკადემიური გამოცდილების გაზიარება. რაც შეეხება ინგლისურის B2 დონეს, მაგისტრანტებს კვლევის დროს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას დასჭირდება ინგლისური ენა, სწორედ ამით არის განპირობებული წინაპირობად მისი გამოყოფა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტებით, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით,

1. პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან 1.1 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 1.2 კომპონენტი მეტ წილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2. მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან 2.2 და 2.6 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. მესამე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინადიან 3.1 კომპონენტი მეტ წილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4. მეოთხე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინადიან 4.1, 4.3 და 4.4 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 4.2 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

5. მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 5.1 კომპონენტი მეტ წილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 5.2 და 5.3 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მან ასევე აღნიშნა, საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით, კერძოდ, უნივერსიტეტში არსებობს მრავალფეროვანი საგრანტო სისტემა, რომლის მიხედვითაც ხდება სხვადასხვა კატეგორიის სტუდენტების სწავლის საფასურის შემცირება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა რეკომენდაციებზე.
1. რეკომენდირებულია გაუმჯობესდეს და დაიხვეწოს პროგრამის სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის კავშირი;

2. რეკომენდირებულია ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამისათვის მისი სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავდეს სამიზნე ნიშნულები და სამიზნე ნიშნეულებთან დადარების მექანიზმი;

3. რეკომენდირებულია ძირითადი სფეროს დაემატოს შემდეგი სასწავლო კურსები: ,,ოპერაციათა მენეჯმენტის“ და ,,კვლევის მეთოდები ბიზნესში“ და სასწავლო კურსისათვის ,,გადასახადები“ განისაზღვროს წინაპირობა.

4. რეკომენდირებულია მოხდეს სტუდენტთა შეფასების ელექტრონული მომსახურების გაუმჯობესება, კერძოდ, ნებისმიერ სასურველ დროს სტუდენტისთვის დისტანციურად, ონლაინ ხელმისაწვდომი იყოს მისი შეფასებები და ამასთანავე, ყოველი კვირის ბოლოს მოხდეს სტუდენტთა მიერ მიღებული შეფასებების ასახვა ონლაინ შეფასების ბაზებში.

5. რეკომენდირებულია შეიქმნას პლატფორმა დისტანციურად საგნების არჩევისა და რეგისტრაციისათვის.

6. რეკომენდირებულია ყველა ტიპის ძირითადი სავალდებულო ლიტერატურის ელექტრონული ვერსიებისა და სტუდენტების მიერ მათზე დისტანციურად წვდომის შესაძლებლობის არსებობა;

7. რეკომენდირებულია სტუდენტების ჩართულობის გაზრდა სხვადასხვა კვლევებსა თუ კონფერენციებში;

8. რეკომენდირებულია გაიზარდოს აკადემიური პერსონალის აქტიურობა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების კუთხით;

9. რეკომენდირებულია, ბიბლიოთეკა აღიჭურვოს მეტი კომპიუტერული ტექნიკით;

10. რეკომენდირებულია დაზუსტდეს ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილი და შემოსავლების ზრდასთან ერთად არ შემცირდეს სამეცნიერო და სხვა ხარჯების პროცენტული წილი და შენარჩუნდეს იგივე პროპორცია;

11. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო"-ში მოცემული პრინციპების საფუძველზე შემუშავდეს პროგრამის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც ორიენტირებული იქნება პროგრამის განვითარების მდგრად და გრძელვადიან მიზნებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამისათვის მისი სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავდეს სამიზნე ნიშნულები და სამიზნე ნიშნულებთან დადარების მექანიზმი, განმარტა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციას ნაწილობრივ იზიარებენ, ვინაიდან უნივერსიტეტში შემუშავებულია და ხელმძღვანელობენ - "საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია", რომელიც საერთოა უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამებისათვის. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები, რომელთა დადარებაც მოხდება სწავლის შედეგებისა და სემესტრული შეფასების გეგმის საფუძველზე, თითოეული განმტკიცების (M) კურსის შედეგის გაზომვით, შესაბამისად პერიოდულობაც ამის მიხედვით განისაზღვრება. აღნიშნულ დოკუმენტშივეა მოცემული სწავლის შედეგების შეფასების რუბრიკა, რომლითაც იხელმძღვანელებს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კომიტეტი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სისტემა ახალი შემუშავებული და დანერგილია, ბუნებრივია სამუშაო პროცესში იგეგმება პროგრამების შესაბამისი სამიზნე ნიშნულებისა და შეფასების დეტალური გეგმის გაწერა, მსგავსი პოლიტიკა გვხვდება საქართველოს ბევრ უნივერსიტეტშიც.

რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად სასურველია სილაბუსში მკაფიოდ გაიმიჯნოს სწავლება სწავლის მეთოდები და აქტივობები, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი უნივერსიტეტისთვისაც საგულისხმოა, თუმცა რეკომენდაციად ვერ მიიღებენ. გამომდინარე იქედან, რომ აქტივობები მინისტრის N3 მიხედვით განსაზღვრულია როგორც სწავლება-სწავლის მეთოდების შემადგენელ ნაწილად და არა მათგან გამიჯნულად. შიდასაუნივერსიტეტო სილაბუსის ფორმაში კი მკაფიოდ არის გამოყოფილი სეგმენტი - "სწავლება - სწავლის მეთოდები და აქტივობები", რაც არ არღვევს შესაბამისი ბრძანებით დადგენილ მოცემულობას. თუმცა აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მხარეებმა დააზუსტეს, რომ აღნიშნული გადატანილია რჩევებში და რეკომენდაციის სახე არ ჰქონდა.

რაც შეეხება იმ რეკომენდაციას, რომ მოხდეს სტუდენტთა შეფასების ელექტრონული მომსახურების გაუმჯობესება, კერძოდ, ნებისმიერ სასურველ დროს სტუდენტისთვის დისტანციურად, ონლაინ ხელმისაწვდომი იყოს მისი შეფასებები და ამასთანავე, ყოველი კვირის ბოლოს მოხდეს სტუდენტთა მიერ მიღებული შეფასებების ასახვა ონლაინ შეფასების ბაზებში, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია ნაწილობრივ უკვე შესრულებულია, ვინაიდან უნივერსიტეტს სარგებლობაში აქვს ახალი ერთიანი ელექტრონული სისტემა, სადაც ინტეგრირებულია სტუდენტისთვის საჭირო ყველა სერვისი და ინფორმაცია. მოცემული სისტემის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ უნივერსიტეტში

ადგილზე ყოფნის გარეშეც დისტანციურად მიიღონ შესაბამისი შეფასებები მათთვის საჭირო ნებისმიერ დროს.

რაც შეეხება რეკომენდაციას შეიქმნას პლატფორმა დისტანციურად საგნების არჩევისა და რეგისტრაციისათვის, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია ნაწილობრივ უკვე შესრულებულია, ვინაიდან უნივერსიტეტს სარგებლობაში აქვს ახალი ერთიანი ელექტრონული სისტემა, სადაც ინტეგრირებულია სტუდენტისთვის საჭირო ყველა სერვისი და ინფორმაცია. მოცემულ ელექტრონულ პლატფორმაზე მათ შესაძლებლობა ექნებათ უნივერსიტეტის შენობაში ყოფნის გარეშე, ელექტრონულად მათთვის ხელსაყრელ ნებისმიერ დროს აირჩიონ სასურველი კურსები, დარეგისტრირდნენ და ა.შ.

ასევე, რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომ უზრუნველყოფილი იყოს ყველა ტიპის ძირითადი სავალდებულო ლიტერატურის ელექტრონული ვერსიებისა და სტუდენტების მიერ მათზე დისტანციურად წვდომის შესაძლებლობის არსებობა დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ნაწილობრივ გათვალისწინებული აქვს და მოცემულ მომენტშიც მიმდინარეობს მისი შესრულება. ქუთაისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ეტაპობრივად ახდენს სავალდებულო ლიტერატურის ბეჭდური ვერსიის გაციფრულებას. ითვალისწინებენ რა კანონს "საავტორო უფლებების შესახებ", ლიტერატურის ელექტრონული ვერსიების ხელმისაწვდომობას უზრუნველყეს მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალისათვის. ელექტრონული ვერსიები განთავსებულია ბაზაში, რომელზე დაშვებაც ხდება მხოლოდ კორპორატიული მეილის გამოყენებით და ასევე შეზღუდულია მათი ჩამოტვირთვის შესაძლებლობა.

ასევე, რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომ მიზანშეწონილია სტუდენტების ჩართულობის გაზრდა სხვადასხვა კვლევებსა თუ კონფერენციებში, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმებიან ექსპერტთა რეკომენდაციას და ნაწილობრივ უკვე გაითვალისწინეს. უნივერსიტეტის მიერ ინიცირებულია შიდასაუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენცია, რომელიც გაიმართება 2020 წლის 11 ივლისს. საუკეთესო ნაშრომი გამოქვეყნდება უნივერსიტეტთან არსებულ ჟურნალ "ეკონომიკურ პროფილში". ამასთან, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის თვითმართველობის წარმომადგენლები ჩაერთვებიან ვარშავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ უნივერსიტეტების თვითმმართველობათა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც უნდა გამართულიყო მაისში, თუმცა გადაიდო პანდემიით გამოწვეული მდგომარეობის გამო.

რაც შეეხება რეკომენდაციას, რომ მიზანშეწონილია გაიზარდოს აკადემიური პერსონალის აქტიურობა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების კუთხით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციას ეთანხმებიან და აქტიურად მუშაობენ ამ მიმართულებით. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების დაფინანსების წამახალისებელი ღონისძიებები. უნივერსიტეტის ბიუჯეტში გამოყოფილია დამატებით თანხა, რომლის ათვისებაც სემესტრულად შეუძლია პერსონალს გამოქვეყნების ხარჯების დასაფარად. გარდა ამისა, პერსონალის ანაზღაურების ოდენობაც დაკავშირებულია მათ აქტიურობასთან სტატიების გამოქვეყნების მიმართულებით.

რეკომენდაციას, რომ მიზანშეწონილია ბიბლიოთეკა აღიჭურვოს მეტი კომპიუტერული ტექნიკით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ახალ ბიბლიოთეკაზე მშენებლობის თანხმობა აქვთ და ფართოვდებიან, აღნიშნული რეკომენდაცია მათთვისაც საგულისხმოა და მიმდინარეობს მისი შესრულება. უნივერსიტეტის დამფუძნებლის გადაწყვეტილებით უნივერსიტეტის ეზოში შენდება ახალი ბიბლიოთეკის ორსართულიანი შენობა, რომლის

აშენების თანხმობაც მიიღეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან. აღნიშნულ შენობაში, რა თქმა უნდა, განთავსდება დამატებითი რაოდენობით კომპიუტერული ტექნიკა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ამ ეტაპზე განთავსებული კომპიუტერული ტექნიკა სტუდენტთა არსებულ კონტინგენტს შეუფერხებლად ემსახურება.
რეკომენდაციას, რომ მიზანშეწონილია სამეცნიერო ელექტორნულ ბაზაზე სტუდენტებსა და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს წვდომა ჰქონდეთ უნივერსიტეტის მიღმა კორპორაციული მეილის გამოყენებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვერ გაითვალისწინებენ, ვინაიდან ყველა ელექტრონული ბაზა აღნიშნულის შესრულების შესაძლებლობას არ აძლევს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ხოლო ის ელექტრონული ბაზები (მაგ. Elseiver), რომლებიც იძლევა ამის შესაძლებლობას სტუდენტებს და პერსონალს თავიანთი პირადი კორპორაციული ფოსტებით შეუძლიათ გახსნან და ისარგებლონ უნივერსიტეტის შენობის გარედანაც.

რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომ მიზანშეწონილია დაზუსტდეს ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილი და შემოსავლების ზრდასთან ერთად არ შემცირდეს სამეცნიერო და სხვა ხარჯების პროცენტული წილი და შენარჩუნდეს იგივე პროპორცია, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციას ვერ გაითვალისწინებენ, ვინაიდან პროგრამის შემოსავლების გაზრდასთან ერთად მოხდება კვლევების დაფინანსების მაჩვენებლის გაზრდაც. დამატებითი განმარტებისთვის აღნიშნეს, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის შემოსავლების ბიუჯეტში გათვალისწინებულია ამ პროგრამაზე ჩარიცხული აქტიური სტუდენტები და მისაღები სტუდენტების რაოდენობა. რადგან საბიუჯეტო წელი არ ემთხვევა სასწავლო წელს (პერიოდს), შესაბამისად, სტუდენტთა სწავლის გადასახადით მისაღები შემოსავლის დაგეგმვა ხორციელდება მომდევნო სასწავლო წლისათვის პროგრამებზე გამოყოფილი ადგილების გათვალისწინებით, ასევე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ანგარიშებზე ეს შემოსავლები ვერ იქნება ერთიანად აკუმულირებული.

რაც შეეხება რეკომენდაციას, რომ შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო“-ში მოცემული პრინციპების საფუძველზე შემუშავდეს პროგრამის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც ორიენტირებული იქნება პროგრამის განვითარების მდგრად და გრძელვადიან მიზნებზე, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი ბუნდოვანია გამომდინარე იქედან, რომ თვითშეფასების დანართები არ ითვალისწინებს აღნიშნული დოკუმენტის სააკრედიტაციოდ გაგზავნას და ექსპერტებს ვიზიტის დროსაც არ გამოუთხოვიათ. უნივერსიტეტს თავისი ნებით არ ჩაუთვლია საჭიროდ, რომ მიეწოდებინა აღნიშნული დოკუმენტი ექსპერტებისთვის. თუ ისინი დაინტერესდებოდნენ და გამოითხოვდნენ, ისინი რა თქმა უნდა, წარუდგენდნენ.

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა ასევე დანარჩენ რეკომენდაციებზე.

1.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, რომელიც გულისხმობს, რომ მიზანშეწონიალია გაუმჯობესდეს და დაიხვეწოს პროგრამის სწავლის შედეგებსა და ზემოაღნიშნულ სასწავლო კურსებს შორის კავშირი, დაწესებულების წარმომადგენელმა დეტალურად ისაუბრა კურსებთან დაკავშირებით.

სასწავლო კურსი „კორპორაციული ფინანსები“ გადის პროგრამის ქვემოთ მოცემულ შედეგებზე, შემდეგ მოსაზრებათა გამო:

შედეგი ბ): იმ შიდა და გარე ფაქტორების იდენტიფიცირებას, რომლებიც მოქმედებენ ბიზნეს-სუბიექტის განვითარებაზე თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში; აღნიშნული შედეგის მიღწევას, კურსი „კორპორაციათა ფინანსები“ უზრუნველყოფს ისეთი საკითხების განხილვით, როგორებიცაა: კორპორაციათა ფინანსური რესურსები, მოგებაზე მოქმედი ფაქტორები. მოგებასთან დაკავშირებით შესაძლებელია განვიხილოთ როგორც სუბიექტური ფაქტორები (ბიზნესის მართვის ორგანიზაციულ-ტექნიკური დონე, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ხარჯები, მზა პროდუქციაზე ფასების დონე და ა.შ.), ისე ობიექტური ფაქტორები (ბაზრის კონიუნქტურა, მატერიალურ და ენერგო რესურსებზე ფასების დონე და სხვ.), რომლებიც ქმნიან კიდეც იმ სოციალურეკონომიკურ გარემოს, რომელშიც სამეურნეო სუბიექტს უწევს ფუნქციონირება.

ასევეა, თემა - „კორპორაციათა საქმინობასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვის საფუძვლები“, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები ეცნობიან საკითხებს: რისკების წარმოქმნის წყაროები, ანალიზი; კორპორაციათა საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები და ა.შ. კომპანიის საქმიანობა მნიშვნელოვანწილად დაკავშრებულია არაერთ რისკთან, რომლებიც, თავის მხრივ, გამომდინარეობენ როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებიდან, რაზეც სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია და აღნიშნულ საკითხებზე ხორციელდება სხვადასხვა აქტივობები.

შედეგი ზ): თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით საჭირო ინფორმაციის (მ.შ. უცხოენოვანი) მოძიება-დამუშავებას და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას ბიზნესის დაგეგმვისა და ადმინისტრირებისათვის; აღნიშნული შედეგი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშრებული პროცესის კომბინაცია: ერთი - თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობა ინფორმაციის დამუშავების უნარი და მეორე - ოპტიმალური გადაწყვეტიელბების მიღება. ეს უკანასკნელი იხილება საკითხში „სტრატეგიული გადაწყვეტილებები“, რაც ასე აუცილებელია წარმატებული ბიზნეს საქმიანობისათვის. დამატებით, სასწავლო კურსის თემატიკაში წარმოდგენილია საკითხი „ფინანასური დაგეგმვა კორპორაციაში“, რომლის ფარგლებში ყურადღება გამახვილებულია როგორც მოკლევადიანი, ისე საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმვის თავისებურებებსა და მნიშვნელობაზე.

სასწავლო კურსი საბანკო საქმე: ეთანხმებიან ექსპერტებს, რომ თემატიკიდან გამომდინარე რთულია კავშირის პოვნა საბანკო საქმისა და ,,ვ'' შედეგს შორის და გავითვალისწინებთ. ,,ბ“ შედეგთან კავშირი კი არ არის გათვალისწინებული პროგრამის კურიკულუმის რუკაში და სავარაუდოდ ჩანაწერის შეცდომაა. რაც შეეხება სასწავლო კურსისა და ,,გ“ შედეგის კავშირს, "გ" სწავლის შედეგის თანახმად "სტუდენტი შეძლებს ცვალებად გარემოში მიმდინარე პროცესების კრიტიკულ შეფასებასა და რაციონალურ გადაწყვეტილებების მიღებას" ამ ნაწილს პასუხობს სასწავლო კურსის ის თემატიკა, სადაც განიხილება კომერციული ბანკის ოპერაციები, მათ შორის რესურსების ფორმირებასთან დაკავშირებული ოპერაციები; საინვესტიციო საქმიანობასთან, ასევე ბანკის ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებული საკითხები.

სასწავლო კურსი გაყიდვების მართვა ავითარებს პროგრამის ,,გ“, ,,ვ“, ,,ზ“,,,თ“ შედეგებს, კერძოდ: შედეგი ,,გ'' - ,,ცვალებად გარემოში მიმდინარე პროცესების კრიტიკულ შეფასებას და რაციონალურ გადაწყვეტილებათა მიღებას''. ვფიქრობთ, რომ მოცემული სასწავლო ავითარებს აღნიშნულ შედეგს ქვემოთ მოყვანილი თემებიდან გამომდინარე, რომელსაც შეისწავლის სტუდენტი შესაბამის სასწავლო კვირეებში: კვირა 2.გადაწყვეტილების მიღების პროცესი და მასზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებები გადაწყვეტილების მიღების პროცესის თითოეული საფეხურის დეტალური განხილვა. თითოეული საფეხურის მორგება არსეულ ქეისთან და მისი შემდგომში გამოყენების შესაძლებლობა. კვირა 3. რას ვყიდით? ანუ პროდუქტი და მისი ფასი. პროდუქტის არსი. გაყიდვების ფასებზე დამოკიდებულების ეკონომიკური მექანიზმი. გაყიდვების საქონლის სასიცოცხლო ციკლთან დამოკიდებულება კვირა 4. ვისზე ვყიდით? მომხმარებელთა ტიპები და ქცევის პრინციპები. მომხმარებელთა ქცევის ძირითადი პრინციპები. საბოლოო მომხმარებელთა ქცევის ძირითადი პრინციპები და ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორები . სამომხმარებლო დანიშნულების საქონლის ყიდვაზე გადაწყვეტილების მიღება. საწარმოო დანიშნულების საქონლის გაყიდვის თავისებურებანი კვირა 5. სად ვყიდით? ანუ

პროდუქციის მიწოდები არხები. მიწოდების არხები და მყიდველები. განაწილების არხის დონეები -
შედეგი ,,ვ'' - ,,თანამედროვე ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით ეფექტური გაყიდვების ორგანიზებას". აღნიშნულ შედეგს ავითარებს ყველა სასწავლო თემა, მეტწილად კი: კვირა 1, გაყიდვების შვიდსაფეხურიანი ციკლი . კვირა 2. გადაწყვეტილების მიღების პროცესი და მასზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებები; კვირა 6. B2B გაყიდვების ორგანიზება და მოლაპარეკებების წარმოება პოტენციურ მომხმარებელთან ; კვირა 7. B2C გაყიდვები და მისი ორგანიზების მეთოდები. კვირა 13. ბიზნესის ზრდა. თვალყურის დევნება და კავშირის შენარჩუნება. ინტერნეტის გამოყენება მეტი პროდუქტის გასაყიდად. და სხვა
- შედეგი ,,ზ" -,,თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით საჭირო ინფორმაციის (მ.შ. უცხოენოვანი) მოძიება-დამუშავებას და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას ბიზნესის დაგეგმვისა და ადმინისტრირებისათვის." ვფიქრობთ, სასწავლო კურსი ნაწილობრივ ავითარებს აღნიშნულ შედეგს, კერძოდ იმ თემატიკათა გათვალისწინებით, რომელსაც შეისწავლის სტუდენტი: კვირა 13. ბიზნესის ზრდა. თვალყურის დევნება და კავშირის შენარჩუნება. ინტერნეტის გამოყენება მეტი პროდუქტის გასაყიდად. დროის ეფექტურად დაგეგმვა. პარტნიორობა
- შედეგი ,,თ" - ,,ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის გაზიარებას და საკუთარი ღირებულებებისა და ძირითადი პრინციპების დემონსტრირებასა და დაცვას (მ.შ. უცხო ენაზე)" აღნიშნული შედეგისა და სასწავლო კურსის კავშირის ბუნდოვანებასთან დაკავშირებით, იზიარებენ ექსპერტთა რეკომენდაციას, ვინაიდან შესასწავლი თემატიკის გათვალისწინებით მხოლოდ ერთი თემა შეიძლება განიხილებოდეს კავშირისთვის (კვირა 17. მომხმარებელთა უფლებების დაცვა. მომხმარებელთა უფლებების არსი. საქართველოს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ).

რაც შეეხება 2.2 ქვესტანდარტის რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციას ითვალისწინებენ ,,ოპერაციათა მენეჯმენტის" ძირითადი სწავლის სფეროს კურსებში დამატებაზე. რაც შეეხება რეკომენდაციას სასწავლო კურსის - ,,კვლევის მეთოდები ბიზნესში" პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს კურსებში დამატებაზე ვერ გავიზიარებთ, რათა თავიდან ავირიდოთ შესასწავლი თემების გადაფარვა. შემდეგი თემების, როგორიცაა: საშუალო სიდიდეები, ვარიაციული ანალიზის სტატისტიკური მეთოდები, კორელაციურ-რეგრესული ანალიზის სტატისტიკური მეთოდები, დინამიკური (დროითი) მწკრივების ანალიზის სტატისტიკური მეთოდები ვასწავლით სასწავლო კურსში - "ბიზნეს სტატისტიკა." მათი შესწავლა სტუდენტს დაეხმარება მომავალში მცირე მოცულობის კვლევების ჩასატარებლად, მით უფრო როცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" ბრძანება N3 საბაკალავრო ნაშრომი სასწავლო კომპონენტად არის განსაზღვრული. რეკომენდაციას სასწავლო კურს - ,,გადასახადების" შესახებ ვიღებთ და მის წინაპირობად მივუთითებთ სასწავლო კურსს ,,ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი".

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ, აღნიშნა, რომ ბიზნესის ოპერაციებთან და ოპერაციების მენეჯმენტთან დაკავშირებით იზიარებს ექსპერტების პოზიციას. ბიზნესის კვლევას რაც შეეხება უნივერსიტეტის პოზიციას იზიარებს. გადასახადებში რჩევაზე ბოლომდე ვერ დაეთანხმება, რომ ჩაითვლება ამ საგნის წინაპირობად. იგივე საგანი აქვთ ფინანსური მენეჯმენტი, იმის წინაპირობადაც არ გამოდგება ჯობია შეუცვალონ კორპორაციულ ფინანსებს. მისი მოსაზრებით, დაბალანსებისთვის ფინანსური მენეჯმენტის სწავლება უნდა გაძლიერდეს. არ არის საკმარისი მაგისტრატურაში უფრო კარგად არის მოცემული. მნიშვნელოვანია კორპორაციის კუთხით შეაფასონ ფინანსები სტუდენტებმა. ცალსახად ფინანსების მენეჯმენტის სწავლება გასაძლიერებელია. ყველა საგანში დაამატონ პრაქტიკული მაგალითები, რომლებიც უფრო სახალისოს და ნაყოფიერს გახდის სტუდენტებისთვის პროგრამას და სწავლების პროცესს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმებიან ამ მოსაზრებას.
კორპორაციულ ფინანსებთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ უნივერიტეტის პოზიციაზე გაოცებულია, რომ გაცილებით სხვა მოლოდინები უნდა ჰქონდეთ, ძირითადი ფოკუსი დაკარგულია, კარგი იქნება რომ რჩევა მიეცეს, რომ ამ მიმართულებით სიღრმისეულად იფიქრონ.
ნინო დობორჯგინიძემ განმარტა, რომ პროგრამების ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით ხარისხის სამსახურმა განაცხადა რომ სტრატეგიული განვითარების სამსახური ჩაიბარებს, ეს ძალიან კარგია, მაგრამ უფრო იგულისხმებოდა საერთაშორისო რესურსის მოძიება, რომ გადახედეს პირად საქმეს პროფესორების მიიჩნევს, რომ საჭირო იქნება მეტი პერსონალის მოზიდვა, რათა ეს რეკომენდაცია შესრულდეს. ასევე ერთ-ერთი საშუალება შიეძლება იყოს ფინანსური დაჯილდოება.
საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ ბიზნეს ინგლისურის სილაბუსებთან დაკავშირებით განმარტა, რომ რეკომენდირებულია ბიზნეს ინგლისურის სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურა მიეთითოს CEFR სტანდარტის შესაბამისად. დაწესებულების წარმომადგენლემბი დაეთანხმნენ აღნიშნულ მოსაზრებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:55
დასრულების დრო:17:23

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ფინანსების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

კერძოდ, პირველი სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ მეორე და მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) ფინანსების მაგისტრატურის პროგრამის სწავლის შედეგების უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსები - „სასწავლო პრაქტიკა“ და „სამაგისტრო ნაშრომი“ გადატანილი იქნას ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებში და განისაზღვროს კურსებზე დაშვების ლოგიკური წინაპირობები;
ბ) მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი საგნების ინტეგრაცია და გამოთავისუფლებული კრედიტების ხარჯზე დაემატოს სასწავლო კურსები, რომელთა სწავლება აუცილებელია პროგრამის მიზნების მისაღწევად;
გ) განისაზღვროს სასწავლო კურსებზე დაშვების ლოგიკური პირობები. არ შეიძლება საგნებიდან, რომლებიც ერთსადაიმავე სემესტრში ისწავლება, ერთი იყოს მეორეზე დაშვების წინაპირობა;
დ) მოხდეს, სასწავლო კურსების „ფინანსური აღრიცხვა“, “ბუღალტრული ანგარიშგება“ და „მმართველობითი აღრიცხვა გადაწვეტილებების მისაღებად“ მეტი პრაქტიკული კომპონენტებით დატვირთვა და სწავლების პროცესში რომელიმე ბუღალტრული პროგრამის (სოფთის) ჩართვა;

ე) დაწესებულებამ მეტი ყურადღება დაუთმოს სამაგისტრო ნაშრომების თემების მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობას, სტუდენტთა მიერ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულ კვლევებსა და გამოყენებულ ლიტერატურას;
ვ) დაწესებულებამ უზრუნველყოს სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდების და აქტივობების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანების შესაბამისად ფორმულირება;
ზ) სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა უფრო მეტად უნდა შეესაბამებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ მისანიჭებელ სპეციალობას;
თ) დაწესებულებამ უზრუნველყოს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებად შესაბამისი სპეციალიზაციის მქონე პერსონალის შერჩევა;
ი) დაწესებულებამ უზრუნველყოს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების გადამზადება და ტრენინგი სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისა და ხელმძღვანელობის მიმართულებით;
კ) აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისთვის მხარდაჭერის მიზნით საჭიროა შესაბამისი ფინანსური რესურსის გამოყოფა;
ლ) პროგრამის ფინანსური მდგრადობის ადეკვატურად შეფასების მიზნით, სასურველია დაწესებულების ადმინისტრაციამ პროგრამის დაფინანსების ყველა წყარო სრულად ასახოს პროგრამის ბიუჯეტში.
მ) მიზანშეწონილია პროგრამა გამდიდრდეს უცხოური (ინგლისური) ლიტერატურით;
ნ) მიზანშეწონილია პროგრამაზე უკეთ ისწავლებოდეს ბიზნეს პროცესები, დაემატოს IFRS სტანდარტები პროგრამის რელევანტურად, ასევე საგანი საგადასახადო პოლიტიკა მიზანშეწონილია არჩევით საგნებში იქნას გადატანილი. მნიშვნელოვანია სტატისტიკის გარკვეული საკითხების დამატება. ასევე, პროგრამას დაემატოს საგანი ბიზნესის შეფასება ფინანსების კუთხით.
ო) მიზანშეწონილია პროგრამის ყველა საგანი გამდიდრდეს პრაქტიკული მაგალითებით.

გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ფინანსების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციის მინიჭებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „საბუღალტრო აღრიცხვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

კერძოდ, მე-2 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) წარმოდგენილი პროგრამის მიზნები ლექსიკურად გამართულია თუმცა მე-2 და მე-3 მიზნის დეკლარირების კონტექსტი უფრო შეესაბამება შედეგს ვიდრე მიზანს, ამიტომ უნდა მოხდეს აღნიშნული მიზნების დეკლარირების კონტექსტის დაზუსტება;
ბ) საბუღალტრო აღრიცხვის მაგისტრატურის პროგრამის სწავლის შედეგების უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსები - „სასწავლო პრაქტიკა“ და „სამაგისტრო ნაშრომი“ გადატანილი იქნას ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებში და განისაზღვროს კურსებზე დაშვების წინაპირობები;
გ) მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი საგნების ინტეგრაცია და გამოთავისუფლებული კრედიტების ხარჯზე დაემატოს სასწავლო კურსები, რომელთა სწავლება აუცილებელია პროგრამის მიზნების მისაღწევად;
დ) გადაიხედოს და განახლდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა, რათა ისინი დაფუძნებული იყოს სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და შეესაბამებოდეს კურსის მიზანსა და სწავლების საფეხურს;
ე) მოხდეს „სასწავლო პრაქტიკის“ გაძლიერება და შესაბამისად მისთვის განსაზღვრული კრედიტების გაზრდა. გაიზარდოს პრაქტიკის ხანგრძლივობა, სილაბუსში მიეთითოს საკონტაქტო საათების რაოდენობა.
ვ) უნდა მოხდეს, სასწავლო კურსების „ფინანსური აღრიცხვა“, “ბუღალტრული ანგარიშგება“ და „მმართველობითი აღრიცხვა გადაწვეტილებების მისაღებად“ მეტი პრაქტიკული კომპონენტებით დატვირთვა და სწავლების პროცესში რომელიმე ბუღალტრული პროგრამის ჩართვა.
ზ) სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტებსა და შეფასების კრიტერიუმებში უნდა გაიზარდოს დამოუკიდებელი კვლევის, ანალიტიკური ნაწილისა და კვლევის მიგნებების წილი. ასევე, მნიშვნელოვანია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ მეტად კონტროლდებოდეს ციტირების ერთიანი სტანდარტის დაცვა.
თ) სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტმა სტუდენტებისათვის უნდა გაწეროს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების გაცილებით დეტალური ინსტრუქცია, ვიდრე ეს დღევანდელი წესითაა მოცემული (სასურველია შემდეგნაირად დაკონკრეტდეს ნაშრომის შესავლის სტრუქტურა: თემის აქტუალურობა, კვლევის მიზნები, ამოცანი, საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზა (დაშვება) და ა.შ).
ი) გადაიხედოს და შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის „საერთაშორისო ბიზნესის“ სახელწოდება, მიზანი, შინაარსი, გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა და კრედიტების რაოდენობა. სილაბუსით გათვალისწინებული შესასწავლი თემებიდან გამომდინარე ეს არის არა „საერთაშორისო ბიზნესის“, არამედ „ბიზნეს სამართლის“ კურსი და კარგი იქნება, თუ სწორედ „ბიზნეს სამართლის სახელწოდებით“ მოხდება აღნიშნული კურსის შეთავაზება.
კ) დაწესებულებამ მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტთა მიერ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულ კვლევებსა და გამოყენებულ ლიტერატურას.
ლ) დაწესებულებამ უზრუნველყოს სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდების და აქტივობების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანების შესაბამისად ფორმულირება.
მ) სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისთვის ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდირებულად მიიჩნევს „სამეცნიერო კვლევის სტრუქტურა, მეთოდებისა და ეთიკის“ სასწავლო კურსში სტუდენტთა დამოუკიდებელ კვლევითი უნარების განვითარებაზე მეტი აქცენტი გაკეთდეს და ფინალური თეორიული გამოცდის ნაცვლად უმჯობესია სტუდენტების მხრიდან კვლევითი ნაშრომის

მომზადება, ხოლო სტუდენტთა თეორიული ცოდნის შეფასებისთვის შესაძლებელია კვლავ შუალედური გამოცდისა და ქვიზებისა გამოყენება.
ნ) სტუდენტებისთვის მეტი აკადემიური თავისუფლების მინიჭებისთვის, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდირებულად მიიჩნევს სასწავლო პერსონალმა წინასწარ 7 გამოაქვეყნოს არა სამაგისტრო ნაშრომის კონკრეტული თემები (სათაურები), არამედ მათი ზოგადი კვლევითი მიმართულება რის შემდეგაც ხელმძღვანელთან კონსულტაციის პროცესში მაგისტრანტი დააკონკრეტებს თემის სათაურს. ასევე, იზრუნონ ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 3^2 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 3^2 პუნქ ტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „საბუღალტრო აღრიცხვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭებისა და 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
ა) წარმოდგენილი პროგრამის მიზნები ლექსიკურად გამართულია თუმცა მე-2 და მე-3 მიზნის დეკლარირების კონტექსტი უფრო შეესაბამება შედეგს ვიდრე მიზანს, ამიტომ უნდა მოხდეს აღნიშნული მიზნების დეკლარირების კონტექსტის დაზუსტება;
ბ) საბუღალტრო აღრიცხვის მაგისტრატურის პროგრამის სწავლის შედეგების უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსები - „სასწავლო პრაქტიკა“ და „სამაგისტრო ნაშრომი“ გადატანილი იქნას ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებში და განისაზღვროს კურსებზე დაშვების წინაპირობები;
გ) მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი საგნების ინტეგრაცია და გამოთავისუფლებული კრედიტების ხარჯზე დაემატოს სასწავლო კურსები, რომელთა სწავლება აუცილებელია პროგრამის მიზნების მისაღწევად;

დ) გადაიხედოს და განახლდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა, რათა ისინი დაფუძნებული იყოს სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და შეესაბამებოდეს კურსის მიზანსა და სწავლების საფეხურს;
ე) მოხდეს „სასწავლო პრაქტიკის“ გაძლიერება და შესაბამისად მისთვის განსაზღვრული კრედიტების გაზრდა. გაიზარდოს პრაქტიკის ხანგრძლივობა, სილაბუსში მიეთითოს საკონტაქტო საათების რაოდენობა.
ვ) უნდა მოხდეს, სასწავლო კურსების „ფინანსური აღრიცხვა“, “ბუღალტრული ანგარიშგება“ და „მმართველობითი აღრიცხვა გადაწვეტილებების მისაღებად“ მეტი პრაქტიკული კომპონენტებით დატვირთვა და სწავლების პროცესში რომელიმე ბუღალტრული პროგრამის ჩართვა.
ზ) სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტებსა და შეფასების კრიტერიუმებში უნდა გაიზარდოს დამოუკიდებელი კვლევის, ანალიტიკური ნაწილისა და კვლევის მიგნებების წილი. ასევე, მნიშვნელოვანია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ მეტად კონტროლდებოდეს ციტირების ერთიანი სტანდარტის დაცვა.
თ) სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტმა სტუდენტებისათვის უნდა გაწეროს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების გაცილებით დეტალური ინსტრუქცია, ვიდრე ეს დღევანდელი წესითაა მოცემული (სასურველია შემდეგნაირად დაკონკრეტდეს ნაშრომის შესავლის სტრუქტურა: თემის აქტუალურობა, კვლევის მიზნები, ამოცანი, საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზა (დაშვება) და ა.შ).
ი) გადაიხედოს და შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის „საერთაშორისო ბიზნესის“ სახელწოდება, მიზანი, შინაარსი, გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა და კრედიტების რაოდენობა. სილაბუსით გათვალისწინებული შესასწავლი თემებიდან გამომდინარე ეს არის არა „საერთაშორისო ბიზნესის“, არამედ „ბიზნეს სამართლის“ კურსი და კარგი იქნება, თუ სწორედ „ბიზნეს სამართლის სახელწოდებით“ მოხდება აღნიშნული კურსის შეთავაზება.
კ) დაწესებულებამ მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტთა მიერ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულ კვლევებსა და გამოყენებულ ლიტერატურას.
ლ) დაწესებულებამ უზრუნველყოს სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდების და აქტივობების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანების შესაბამისად ფორმულირება.
მ) სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისთვის ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდირებულად მიიჩნევს „სამეცნიერო კვლევის სტრუქტურა, მეთოდებისა და ეთიკის“ სასწავლო კურსში სტუდენტთა დამოუკიდებელ კვლევითი უნარების განვითარებაზე მეტი აქცენტი გაკეთდეს და ფინალური თეორიული გამოცდის ნაცვლად უმჯობესია სტუდენტების მხრიდან კვლევითი ნაშრომის მომზადება, ხოლო სტუდენტთა თეორიული ცოდნის შეფასებისთვის შესაძლებელია კვლავ შუალედური გამოცდისა და ქვიზებისა გამოყენება.
ნ) სტუდენტებისთვის მეტი აკადემიური თავისუფლების მინიჭებისთვის, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდირებულად მიიჩნევს სასწავლო პერსონალმა წინასწარ 7 გამოაქვეყნოს არა სამაგისტრო ნაშრომის კონკრეტული თემები (სათაურები), არამედ მათი ზოგადი კვლევითი მიმართულება რის შემდეგაც ხელმძღვანელთან კონსულტაციის პროცესში მაგისტრანტი დააკონკრეტებს თემის სათაურს. ასევე, იზრუნონ ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესებაზე.
ო) რეკომენდირებულია ბიზნეს ინგლისურის სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურა მიეთითოს CEFR სტანდარტის შესაბამისად.

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^2 პუნქტე ბის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^2 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული

პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა და საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი გეგენავამ დატოვეს სხდომა. აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს წევრებმა სხდომის თავმჯდომარედ აირჩიეს საბჭოს წევრი გიორგი თურქია.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,ქართულ ენაში მომზადების” საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 19 ნოემბრის N207 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ქართულ ენაში მომზადება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-
7	კვალიფიკაციის დასახელება	-
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
11	განხორციელების ადგილი	საქართველო. ქ.თბილისი, 0162. ი.ჭავჭავაძის გამზირი 49.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა რეკომენდაციებზე, კერძოდ:
1. გაიწეროს, თუ როგორ ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამაში გაწერილ კონკრეტულ სწავლის შედეგს(ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი და სხვ).
2. ცალკე გაიწეროს სამიზნე ნიშნულები ქართულ ენაში მომზადების პრორგამისთვის, სადაც განისაზღვრება პროგრამაში დასახული რომელი სასწავლო კურსით მიიღწევა, რა შეფასების ინსტრუმენტით მოწმდება კონკრეტული სწავლის შედეგი; კონკრეტული სამიზნე ნიშნულისთვის რა პროცენტია განსაზღვრული და სტუდენტთა რა პროცენტულმა მაჩვენებელმა უნდა მიაღწიოს დასახულ ნიშნულს.
3. გაიწეროს და ქართულ ენაში მომზადების პროგრამას თან დაერთოს ამ პროგრამისთვის განსაზღვრულად გაწერილი პროგრამის შედეგების შეფასების გეგმა; შედეგების შეფასებაში განისაზღვროს შეფასების მიზანი, განმახორციელებელი პირები, შეფასების ინსტრუმენტები და პროგრამის შეფასების პერიოდულობა.
4. შეთავაზებულ იქნეს პროგრამაში განსაზღვრული სავალდებულო-არჩევითი კურსის ნაცვლად ენის კომპეტენციის დასაუფლებელი კურსები, რომელიც კონკრეტულად აღნიშნული სტუდენტებისთვის უზრნველყოფს ენის ცოდნის პირველ სემესტრში B1 და მეორე სემესტრში B2 დონეზე გამყარებას. პროგრამის ჩამონათვალში აღნიშნული სავალდებულო-არჩევითი კურსების შეთავაზება კი განისაზღვროს სწავლების მეორე სემესტრში და მხოლოდ იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ენას დაეუფლებიან B2 დონეზე.
5. შეთავაზებული იქნას ორივე სემესტრში სავალდებულო-არჩევითი კურსები შესაბამისი დონის მიხედვით. კურსების შეთავაზების შემთხვევაში მოხდეს ამ კურსების შესაბამისი საფეხურის გრამატიკის სახელმძღვანელოთი სწავლება.
6. კონკრეტული კურსების შემთხვევაშიც გათვალისწინებულ იქნეს წინაპირობა: კერძოდ, კურსი „ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) A1_A2“ იყოს მეორე სემესტრში განსაზღვრული „ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) B1_B2“-ის წინაპირობა, და სხვა კურსების წინაპირობაც.

ექსპერტმა ჯგუფის თავდომარემ ასევე განიხილა უნივერსიტეტის მიერ რეკომენდაციების შესრულების საკითხი, კერძოდ:
გაწერილი რეკომენდაციის შესაბამისად პროგრამას დართული აქვს კურიკულუმის რუკა, სადაც აღწერილია, თუ როგორ ავითარებს პროგრამაში გაწერილ სწავლის შედეგს შესაბამისი სასწავლო კურსი. რუკაში ასევე მოცემულია კურსების გრადაცია, რაც ეყრდნობა პრინციპს: გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება. სასწავლო კურსების სილაბუსებში შედეგები და კომპეტენციები გაწერილია ახალი სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით.
კურიკულუმს ასევე თანდართული აქვს ახალი დოკუმენტები: პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა (ცხრილი N1), სადაც აღწერილია რამდენად შესაბამისობაშია პროგრამაში დასახული მიზნები პროგრამის სწავლის შედეგებთან.
თუმცა აღსანიშნავია, რომ დოკუმენტაციის ჩამონათვალში არ არის გაწერილი სტანდარტით
განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რაც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როდის და რა ვადებში იქნება ამა თუ იმ შემაჯამებელი კომპონენტის შეფასება და ანალიზი განხორციელებული. პროგრამაში რეკომენდაციის შესაბამისად გაიწერა პროგრამის სამიზნე ნიშნულები.
მოცემულ საკითხთან მიმართებით ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული მონაცემი სრულად არ ასახავს სასწავლო პროცესის შეფასებას. „შუალედური გამოცდა“ არის შეფასების კომპონენტი და არა სწავლის შედეგი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრული იყოს შემაჯამებელი კურსი და იმ კურსის ფარგლებში არსებული შეფასების კომპონენტის შეფასება მოხდეს. დოკუმენტში ასევე წერია, რომ შეფასება მოხდება შესაბამისი სემესტრის ბოლოს. ვინაიდან პროგრამა არის ერთწლიანი, სადაც პირველი სემესტრის კურსებს

ეფუძნება მეორე სემესტრის კურსები, სასურველია, შესაბამისი ენის დონის მისაღწევად, სწავლის შედეგის შეფასება მოხდეს მთლიანი სასწავლო წლის დასასრულს, შემაჯამებელი საგნების ფარგლებში. აუცილებელია, მოცემული იყოს სწავლის შედეგის შეფასებისა და სამიზნე ნიშნულის ერთიანობა. ამდენად უნივერსიტეტმა აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინა ნაწილობრივ.
მეორე სტანდარტში მოცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მედიაკურსი წარმოადგენს აუდიომასალას, მოთხრობილია ზღაპრები, რომლებიც ლექტორმა სტუდენტებთან ერთად ენობრივად უნდა დაამუშავოს. ფიზიკური მედიცინისა და სპორტის ტერმინოლოგიის კურსის მიზანია დარგობრივი ენის შესწავლა, რომელიც სტუდენტებს საბაკალავრო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად გამოადგებათ, რადგან მათი პროფილის ტერმინოლოგიას შეასწავლის. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძირითად ლიტერატურაში არის მითითებული ლექსიკონი, ენციკლოპედია და ინგლისურენოვანი სამედიცინო ტერმინოლოგია. აღნიშნულია, რომ კურსისთვის მომზადდება „რიდერი“. ბოლომდე ცხადად არ ჩანს სილაბუსიდან, რა ტიპის „რიდერის“ მომზადებაზეა აღნიშნული ლიტერატურით საუბარი.
კურიკულუმის ფარგლებში არსებულ კურსებში: ქართული ენის გრამატიკა 1 და 2 შეიცვალა ძირითადი სახელმძღვანელო, რომელიც მეორე ენის შემსწავლელებისთვისაა განკუთვნილი. თუმცა თემების ჩამონათვალი პრაქტიკულად იდენტურია, განახლებული სახელმძღვანელო არის“ქართული ენის გრამატიკის კურსი მასწავლებელთათვის“, სადაც გრამატიკის განმარტებაა მოცემული. ცალკეული სავარჯიშოები შემსწავლელებისთვის არ არის დამუშავებული. შესაბამისად ვერ ხერხდება დადგენა, რა ფორმატში ხდება გრამატიკის შესწავლა.
უნივერსიტეტმა გაითვალისწინა რეკომენდაცია და პირველი სემესტრის კურსები დააწესა მეორე სემესტრის მეორე ნაწილის კურსების წინაპირობად. ეს კურსები ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენს. სტუდენტი პირველი ნაწილის დაუფლების გარეშე ვერ შეძლებდა მეორე ნაწილის დაძლევას.
მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტმა მეორე სტანდარტში მოცემული რეკომენდაციები დააკმაყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ სილაბუსებში არ ჩანს დეტალურად, როგორ იგეგმება ენის შესწავლის პროცესი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულებას წარმოედგინათ პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა შემუშავების პროცესშია. მიუხედავად იმისა, რომ მისი დახვეწა და წამოყალიბება ამჟამად მიმდინარეობს, დაინტერესება სტუდენტების მხრიდან საკმაოდ დიდია. წელს აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის დასაწყებად შემოვიდა 100 განაცხადი. სტუდეტებისა და ლექტორების დაინტერესება მოხდა უნივერსიტეტის მიერ რეგიონებში ჩატარებული ტრენინგების საფუძველზე.
უნივერსიტეტი ასევე სრულიად ითვალისწინებს პირველ სტანდარტთან მიმართებით არსებულ რეკომენდაციებს. ამ კუთხით ქართული ენაში მომზადების პროგრამაში ამავე პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ გაიწერა, თუ როგორ ავითარებს კონკრეტული სასწავლო კურსი პროგრამაში არსებულ კონკრეტულ სწავლის შედეგებს, ასევე კონკრეტული სასწავლო კურსების მიმართება პროგრამის შედეგებთან. ასევე მოხდა სწავლის შედეგის შეფასებისა და სამიზნე ნიშნულის ერთიანი ბმის ჩამოყალიბება, რის დასადასტურებლადაც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგნა შესაბამისი ცხრილი.

საბჭოს წევრმა დააზუსტა დათქმა სტუდენტთა რაოდენობის შესახებ, სადაც აღნიშნული იყო, რომ პროგრამა გაიხსნება 15 და მეტი სტუდენტის არსებობის შემთხვევაში. მან აღნიშნა თუ რა მდგომარეობაში იქნებიან ის სტუდენტები, რომლებიც აღნიშნულ პროგრამაზე ჩაირიცხებიან, მაგრამ მათი რაოდენობა იქნება 15-ზე ნაკლები.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნივერისტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტთა სიმცირე არ შეზღუდავს სტუდენტების უფლებებს და მათ ექნებათ შესაძლებლობა სრულყოფილად დახურონ აღნიშნული პროგრამა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:04
დასრულების დრო:18:10

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თურქია გიორგი



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ტუფინაშვილი თამარ